საქართველოს მთავრობის

დადგენილება №545

2025 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №549 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №549 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/11/2018, 240110000.10.003.020865) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „მოთხოვნებში გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ სურსათზე და ცხოველის საკვებზე, რომელიც ავტორიზებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნის სურსათის/ცხოველის საკვების მარეგულირებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ და შეყვანილია ევროკავშირის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეესტრში: https://food.ec.europa.eu/plants/genetically-modified-organisms/gmo-register_en, ავტორიზაცია გაიცემა ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების გარეშე, ხოლო გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების მარეგულირებელი სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს მიერ ავტორიზებული სურსათისა და ცხოველის საკვების ავტორიზაცია ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე